ეჯო

№ 25

19 ენკენისთვე,

შინაარსი.

ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა. ნინო ია-სი
სასიამოვნო მოვლენა. . . . . .
შუანეთა. . . . . შ. ამირაჯიბისა;
კახეთში მოგზაურობა რ. გაბაშვილისა;
გზა და გზა . . . . . ინზენისა;
შენიშვნები . . . . . გ. გვაზავასი;
ტალღა. . . . . ი. გრიშაშვილისა;
შინაური მიმოხილვა . . . . . .
ლექსი . . . . . ვ. ალუღიშვილისა;
ფიქრები და შენიშვნები . ვინ-განისა.

1910 წ. საპოლიტიკო, საქალაქიერო და საალიტერატურო ჟურნალი 1910 წ.

† ნატო გაბუნია-ცაგარლისა.

ქართულ სასცენო ხელოვნებას ერთი უპირველესი და უნიჭიერესი ქურუმი მოაკლდა.

16 აგვისტოს, ორშაბათს, დილის $9^1/_2$ საათზედ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ნატალია მერაბის ასული გაბუნია-ცაგარლისა.

ნატო გაბუნია-ცაგარლისა ოცდა ათ წელიწადზე მეტს მოღვაწეობდა ქართულ სცენაზე და მისი დაუფასებელი ღვაწლი შედარებით სხვებთან იყო ბრწყინვალე, შუქმომფენი და მადლიანი.

ნატო სწორედ იმ დროს მოევლინა ქართულ სცენას, როდესაკ ეროვნული ხელოვნება ძირს იკიდებდა. იგი ერთი იმ ოთხ დედა-ბოძთაგანი იყო, რომელზედაც აშენდა აწინდელი კეთილდღეობა ჩვენის თეატრისა.

იმ ხანებში არა თუ ქალებს, კაცებსაც კი ეკრძალებოდა სცენაზე გამოსვლა და „პამპულებად“ იყვნენ წოდებულნი, ხოლო ქალებს „ლეჩაქ მოხდილებს“ უძახოდნენ.

ნატო არ შეუშინდა საზოგადოების ცრუ მორწმუნოებას, მის კილვა-კიცხვას, ჭორებსა და ძრახვას და თავისის მადლიანის ნიჭით თითქმის სასწაულიც მოახდინა: ქართველ ქალს გზა გაუხსნა საზოგადო მოღვაწეობისათვის.

ნატო გაბუნია-ცაგარლისამ თავის დაუღალავის შრომით, ქართული ხელოვნების სიყვარულით და საზოგადოებურის შნოთი და უნარით დაანახვა ყველა ფარისეველთ და ურწმუნოთ, რომ მას კი არ მოუხდია ლეჩაქი ქართელი ქალისა ავის, პირ იქით შრომით გაპატიოსნებული ლეჩაქი დაუხურავს.

ეს მარტივი ჭეშმარიტება დამტკიცდა საყოველთაოდ ნატოს იუბილეზე შარშან ნოემბერში და წელს მის გლოვაზე და დასაფლავებაზე...

ნატო გაბუნია-ცაგარლისა როგორც დიდ-ბუნებოვანი და ნიჭით გაბრწყინვალებული ადამიანი, თუმცა შესაფერ სწავლა-განათლებას მოკლებული იყო, იშვიათი ხელოვანი და ღრმად გამსჭვრეტი მსახიობი იყო.

ნატოს მიერ შექმნილნი და გაპიროვნებული ტიპები და ხასიათები საუკეთესო ხატებას შეადგენდნენ არა თუ ჩვენისთანა დაბეჩავებული სცენისათვის, არამედ საუკეთესო და მდიდრულ მელპომენის ტაძარშიაც.

ნატოს სასცენო ნიჭი იშვიათი და მრავალ ფერადოვანი იყო. საოცარი და მგრძნობიარე ტემპერამენტის პატრონი, იგი საკვირველის სიადვილით ძალ-დაუტანებლივ და თითქმის ხუმრობით სძლევდა ხოლმე ყოველ გვარ სასცენო დაბრკოლებას.

ნატოს გამოსვლა სცენაზე ამა თუ იმ როლში დაუშრეტელი წყარო იყო ესტეტიური სიამოვნებისა

და საღი მხიარულება-სიცილისა მაყურებლებისათვის ეს შნო და უნარი, ეს ჯადოსნური სიმხიარულე და მკვირცხლი სიცილი ნატოს თან სდევდა არა მარტო სცენაზე, არამედ კერძოთ, ცხოვრებაშიც.

ვის დაავიწყდება ნატოს ენამახვილობა, ზოგჯერ გესლიანი დაცინვა, ზოგჯერ მალამოსავით დამაშუშებელი ხუმრობა, მოსწრებული სიტყვა-პასუხი, მომხიბვლელი სიმღერა და თამაში... ნატოს კი თითქმის მთელი ქართველობა იცნობდა დიდიდან მოყოლებული მცირემდე, მდიდრულ პალატებიდან ღარიბულ ქოხამდე...

ნატო გაბუნია-ცაგარლისამ შექმნა მთელი შკოლა თამაშობისა, მთელი ეპოქა ქართულ სასცენო ხელოვნებაში. მისგან სწავლობდნენ, მისგან მაგალითს ღებულობდნენ, მას ბაძავდნენ...

დიახაც იღბლიანი ქალი იყო ნატო! ცხოვრება თუმცა ხშირად სასტიკად ექცეოდა, მაგრამ ბედიღბალი ნატოსთვის არას დროს არ მოქცევია დედი-ნაცვლურად.

ბედნიერად დაიწყო თავისი პირველი ნაბიჯი, ბედნიერად განვლო თავისი ბრწყინვალე მოღვაწეობა, ბედნიერად გათხოვდა, ბედნიერი იყო თავის ასიკოსთან, ბედნიერი იყო თავის ტოლ-ამხანაგებში, ბედნიერი იყო ნაცნობ-მეგობრებში, ბედნიერად დაასრულა თავისი მოღვაწეობა ოცდა ათი წლის იუბილეს გადახდით და უტანჯველად განშორდა ამ წუთი სოფელს...

ბედნიერია ის ადამიანი, ვინც თავის უბედურებას არ მოესწრება!

უბედურები მხოლოდ ჩვენა ვართ, რადგან არა გყვავს ჩვენი ბედნიერი ნატო!

ნინო —ია.

(3. ბაკრაძ)

სასიამოვნო მოვლენა.

ქართველთა ცხოვრება ისეთ მდგომარეობაშია, რომ სანუგეშოს ცოტას ჰპოებს ადამიანი. როგორც ქალაქში, ისე მცირედ სოფლებშიაც მხოლოდ ჩივილი და ცხოვრების უკმაყოფილება ისმის. ასეთ მდგომარეობის შემხედავ ადამიანს გული უტყდება და უნებლიედ სასოწარკვეთილებას ეძლევა. მით უფრო გიხარია კაცს, როცა ერთს წერტილს მაინც იპოვი, სადაც გაჩაღებულია დინჯი, შეგნებული და ნაყოფიერი შრომა სამშობლოს კეთილდღეობისათვის და მის კულტურულ აღორძინებისათვის.

ამ ბოლო დროს დიდ ძალი ქართველობა სამშობლო კერას თავს ანებებს და სხვა და სხვა მხარეს იხვეწება სარჩოს მოსაპოებლად. რამდენი ქართველი ზემო იმერეთიდან ლ განსაკუთრებით რაჭიდან გადადის ჩრდილო კავკასიაში. იქ არა ერთი სოფელია ქართველების მიერ გაშენებული. ბევრია ქართველები ქალაქში და დაბებში. რასაკვირველია, როგორც ღარიბსა და შესაფერ მომზადებას მოკლებულ ხალხს, ქართველებს უმეტესად მცირედი ადგილი უჭირავთ, ისინი ან პირდაპირ უბრალო მუშები არიან, ან და წვრილ ვაჭრობას ეწევიან. ასეთი გაფანტვა, საშობლოდან გასვლა დღეს ყოველ ხალხში არსებობს, მაგრამ ქართველობას აქაც თავისებურობა ეტყობა. რამდენადაც ქართველი თავის სამშობლოში ადვილად ითვისებს მოსულთ, იმდენადვე გადახვეწილი ადვილად ეთვისება სხვის ცხოვრებას და თავის ვინაობას ჰკარგავს.

ურია ძლიერია თვისი ოჯახით და სარწმუნოებით. ყოველი ებრაელის ოჯახი მატარებელია ძველი ტრადიციების და დამცველია თავისი ისტორიული სახის. სადაც ხუთიოდე სომეხი ჩაეთესლება, იქ აუცილებლივ სომხის მღვდელიც გაჩნდება სამშობლო ენით და ეროვნულ ერთობის დაცვის და განმტკიცების სურვილით. ევროპიელი, ძლიერი თავის კულტურით და ისტორიით, უნებლიედ ეტრფიალება სამშობლოს და თაყვანს სცემს მას. ხოლო ქართველი კი ოდესღაც ძლიერი სახელმწიფო იდეით და სამშობლოს სიყვარულით, დღეს თითქო სამშობლოს მივიწყებას აძლევს და მასზე ფიქრით და ზრუნვით თავს არ იტკივებს. თუ მდიდარია, ის საჭიროდ სცნობს იყოლიოს თავის შვილებისათვის გერმანელი და ფრანგი აღმზრდელი, ხოლო ქართველ გამდელისათვისაც კი ორი გროში ენანება, რა არის, ქართული საყველ-პურო ლაპარაკი მაინც შეათვისებიოს. და თუ ქართველი ღარიბია, მაშინ ხომ გასამართლებელი საბუთიც აქვს, ამიტომაცაა, რომ ხშირად ქართველთა მრავალ რიცხოვან ახალშენს არავითარი საკულტურო დაწესებულება არ მოეპოება თავის ვინაობის დასაცველად.

ამ მხრივ მხოლოდ ორი ადგილი იპყრობს ჩვენს ყურადღებას. კავკავის ქართველობამ შექმნა მეტად სიმპატიური ცენტრი კულტურული ცხოვრებისათვის: მშვენიერი სკოლა, ჩინებული ეკლესია თავისი ქართულ მრევლით, თეატრი, სამკითხველო და ამ ბოლო დროს საკრედიტო დაწესებულებაც. ხალხის თანაგრძნობა, ჩუმი და დაუღალავი მუშაობა საქმის ხელმძღვანელთა უკვე თავდებია ამისა, რომ კავკავის ქართველობა შემდეგშიაც ისე ჩინებულად წაუძღვება თავის საქმეს.

იმავე გზას დაადგა დღეს ბაქოს ქართველობაც. ბაქოში ქართველთა რიცხვი შედარებით საგრძნობელია. უმეტესობა, რასაკვირველია, მუშებია. მაგრამ აქა-იქ ურევიან ინტელიგენტი ძალებიც, რომელთაც არ აკმაყოფილებთ მარტო პირად ინტერესების სამსახური და დიდი ხალისით და თავგამო-

დებით ემსახურებიან საერთო საქმესაც. ბაქოს ქართული საღამოები დიდი ხანია ცნობილი იყო ჩვენს საზოგადოებში. მაგრამ მაინც ბაქოს აკლდა დაწესებულება, რომელსაც შეეძლო მუდმივი, შეუწყვეტელი კულტურული მუშაობა, და აი კიდეც დაარსდა აქ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების განყოფილება. ეს განყოფილება მოქმედებს სულ მეორე წელიწადია, —1909 წლის პირველ იანვრიდან. მაგრამ მას უკვე შესამჩნევი ნაბიჯი წარუდგამს წინ. შებრძანდით მის კოხტად მოწყობილ, მეცნიერების უკანასკნელ სიტყვის თანახმად გაკეთებულ პარტებით და ავეჯით მორთულ სკოლაში, დაათვალიერეთ მოწაფეთა ჩინებული ნამუშევარი და თქვენ დარწმუნდებით, რომ აქ მოქმედებს სიყვარულით აღსავსე გული, რომელიც ყოველივე დაბრკოლებას სძლევს. თუ რა ძლიერ საჭიროებას შეადგენდა სხვა ერთა მოსულს გაბნეულ ქართველობისათვის საკუთარ სკოლის დაარსება, ამას ნათლად მოწმობს, როგორც შეგირდების რიცხვი, ისე თვით განყოფილების ანგარიშიც, სადაც ნათლათაა დახატული უმწეოდ დარჩენილ ქართველ ბავშვთა ბედი.

და განა მარტო სკოლაა ბაქოელთათვის საზრუნველი? თეატრი, სადაც უსასყიდლოდ ეწევიან შრომას სცენისათვის თავდადებულნი პირნი, მგალობელთა გუნდი, სამკითხველო, ერთი სიტყვით კულტურული ცხოვრება ჩაღდება და გადაგვარებულსაც კი გონს მოიყვანს. იმედია, განყოფილებას ახლო-მომავალში საკუთარი სახლიც ექნება, საქმე კიდევ უფრო გაიზრდება და სხვებისთვის სამაგალითოდ გახდება.

შუანეთა

ლეკის ქალი შუანეთა
მაშინ წყალზედ მიდიოდა.
რაც გზას იგი შეეფეთა
ვისთვის გული მისდიოდა.
ლალა იყო მშვენიერი,
გზა ტეისაკენ იხეოდა
და ცის ნამი ვერცხლის ფერი
მის ქობაზედ ირხეოდა.
მორცხვათ თავი დაეხარა,
არ იჩენდა თმებსა შავსა,
სახე ჩადრსა დაეფარა
და თვალები თავსაკრავსა,
ლეკის ბიჭმა თვალს ჩაუარა...
შუანეთამ იგი ნახა,
მაგრამ ჩადრსა არ აუარა,
რომ ლეკს სახე დაენახა.
ლეკის ქალი შუანეთა,
დოლაბერდი—ლეკი კოხტა,
ერთმანეთს რომ შეეფეთა,
დიდხანს იდგნენ—ისე მოხდა.

— შუანეთა! შუანეთა!
ორთაის და იწვის შენი ტანი!
ღმერთმა ჩემთვის გაგამეტა
თუნდ ამხედრდეს დალისტანი!
შუანეთა, ჩადრი გხურავს,
იცოდე კი ეს მარადის—
სხვის ვარსკვლავი ცაზედ სცურავს
და ჩემი კი მიწას დადის!
შუანეთა! ახ, ეგ თვალი
ჩადრს ნუ ჩაჭვეტ, შენს წინ ვდგევარ,
ქვეყნად ბევრი არის ქალი
და ჩეთმვის კი მხოლოდ შენ ხარ!—

— დოლაბერდი! დოლაბერდი!
ჩემი გულიც შენთვის კვდება,
მაგრამ ერთი გეკვეს ჩვენ ღმერთი
და ეგ ცოდვათ ჩაგვეთვლება.
დოლაბერდი, შენც, შენც მიხედი;
რჯული გვიშლის და ღვთის ნება!
გიაურთან ჩადრს ავიხდი —
შენთან კი... ახ, არ იქნება!
დოლაბერდი, ახ, ნუ ელი
ჯერ ჩემ თვალებს ნახავ ვერა!
რაც გავ ერთი წელი,
მეც გავხდები შენი წერა.—

— შუანეთა! შუანეთა!
რჯული სძლებს და გული ვერა!
ღმერთს რათ უნდა, მითხარ, ნეტა,
რომ მომისპო შენი ცქერა?!
შუანეთა, ჩემს მზეს ვფიცავ,
ჩემი მზე კი მხოლოდ შენ ხარ,
იმ ერთ წლამდის თავს მოვიკლავ
და მიზეზიც მხოლოდ შენ ხარ!—

— დოლაბერდი! დოლაბერდი!
ერთის წლისა მოთმინებას
ვით არ მოგცემს ჩვენი ღმერთი,
რომ მისდიო იმის ნებას?!
დოლაბერდი, თვით ვარსკვლავიც
ღრუბლებში სწევს ცისა დარში,
ეგრე ღმერთმა ქალის თავიც
გაახვია თეთრსა ჩადრში!—

შუანეთა საუბრობდა,
ცრემლსა ღვრიდა ჩადრში მწველსა,
გულ დამწყარი უარობდა
სჩვენებოდა საკვარელსა.
და თვის ჩადრში მშვენიერი
უმეტესად ეხვეოდა

და კვლავ ტრემლი ბედნიერი
ცის ფერ თვალზედ ერეოდა.
მაგრამ როცა ლეკის ქალმა
ოვეთ ისურვა სატრფოს ნახვა
ტრემლით სავსე ქალის თვალმა
დოლაბერდი ველარ ხახა,
მხოლოდ ნამი ვერცხლის ფერი
მის ქობაზედ ირხეოდა
და ლეკი კი მშვენიერი
შორს დაბლობში იხეოდა.
თურმე როცა შუანეთ
თვალზედ ჩადრსა იფარებდა,
დოლაბერდიმ მოიხელთა,
ხელს ქობაზედ უტარებდა.
შუანეთ თვალს ხუჭავდა
დოლაბერდი ქობას სწყვეტდა,
და რა ყველას უნახავდა,
ისევ თავის გზას გასწყვეტდა!

შ. ამერიჯიბი.

კახეთში მოგზაურობა

I.

როცა თეატრში მივდივართ, როცა, ახალს, უცნობს ბიესს თამაშობენ, გული რაღაც ბუნდოვან ცნობის-მოყვარეობით ივსება და ოდნავ ღელავს ფარდის ახდამდის. როცა ფარდა აფრიალდება და თვალ წინ წარმოგვიდგება ბირველი მოქმედება, თითქმის ეოველთვის უფერული, ზღაზვნით მავალი,—გული ჭკვიანობს: რა უნდათ, რას როტამენო? მერე კი იღების თანდათან გეშოს და რიგრიგად გრძნობს მოქმედ ბირთა ტანჯვას, სიხარულს; მათთან სწუხს, მათთან ივსება ბედნიერებით, სძულს და ებრძვის დაბრკოლებათ, ეშველება ნათელ ბირებს. მეც მინდა შეგიყვანოთ ამისთანა უცნობ თეატრში, აგიხადოთ ფარდა და გავტაროთ თქვენ თვალ-წინ სიკნები, სურათები, ქალები, კაცები, მათი მოქმედება-ჩვეულებანი და ხასიათი. მხოლოდ ნუ დამემდურებით, თუ სულს ვერ აგინოებთ, ვერ დაგიტკბობთ და, იქნება, სულ ბირველი მოქმედების გაკვირვებაში დაგტოვოთ: რა უნდა. რას ამბობსო? —ეს ჩემზედაც არის დამოკიდებული, რასაკვირველია, და... თქვენზედაც.

მაშ ჩამოვწიოთ თოკს და ავხადოთ უფერულ ფარდას... თბილისის სადგურია; სიცხე საშინელი და მზე ათთარიეთ დასცემია „ნაძალადევს“, თითქო მის ამოწვას და ამოფხვრას ფიქრობსო. ხალხი ირევა სადგურზე, როგორც ბუზები საშხარეულის ჭურთან. დახეზულ რგვულიეთ გაშლილ ფიანდაკებზედ აქა-იქ სდგანან მატარებლები, დაბნეული ვაგონები, თითქო ვერ გაუმაგრებელ ხელს რარცა დაუბლაჯნია, რაღაც ასოები და ნიშნები დაუსვამს რვეულის ხაზებზედ.

უცებ გაისმა გრიალი, სტვენა, ქშენა და მდევეიეთ თვალ-დაჭეეტილმა ორთქლ-მავალმა შემოაქანა უკანასკნელ სტრიქონზედ ლამაზი ფარაზა: მშვენიერი და ჩქარი მატარებელი. ხალხი მიაწყდა კარებს, კიბეებს და შედიოდა ვაგონებში. ქალები, გასუერელნი ბოხჩებთან, კალათებთან, ბავშვებთან და წიგნ-კიეოლთან, თითქო ძალიან დაუგვიანდათო, ეტანებოდნენ მატარებლის ვიწრო კიბეებს, რომელიც ჯერ კიდეე ერთი სასიათი ანბირებდა დასვენებას; კაცები უფრო დინჯად დიარებოდნენ, მაგრამ ქალების ფაცი-ფუცი, ჭეიეილი, ეგირალი მათაც ედებოდა და ისინაც გარბი-გამორბოდნენ. თითო მათგანს რომ შეკვეძლოს კავეოლოთ თვალი სოფლამდის, ქალაქამდის, ან სადგურამდე ცხოვრებაში, ბევრს კარგს მოიხრობს, დრამას, კომედიას და, იქნება, ბოეზიით სავსე ფურცლებსაც შეეხვედრადით გზაზედ, მაგრამ ეველგან მეოფელი მხოლოდ ფანტასია არის და ჩვენ კი ამოვორჩიოთ ცხოვრება და თვალი იმას კავეოლოთ, რასაც მიეწვდებით: მე და ჩემი ორი ამხანაგი, ამ სადგურზედ ვიეავით და ამ მატარებელს უცდიდით. გული ოდნავ ჩქროლავდა, როგორც ეოველთვის, შორს გამგზავრების წინად. მეორე ზარი ჩამოჭკრეს ორჯელ და ჩვენც ავედით ვაგონში. დიდი ცდის შემდეგ ვედირსენით თვლების აგორებას.

—

კურსი ახლად გათავებული გვქონდა. განთავისუფლებულნი წიგნებით აშენებულ სკანიდან, ჩვენ გაბერებდით კახეთის მოკლას. მარშრუტი არა გვქონდა წინდაწინვე შედგენილი, წინამძღოლი არა გვეკვდა, მაგრამ ეველას გვახსოვდა, რომ კითხვის-კითხვით სტამბოლს მივდენო. რად მივდიოდით კახეთში, ძალიან ძნელი სათქმელი იეო. თითქმის არავის გამორკვეული მიზანი არა გვქონდა. უმაწვილი კაცის ცხოვრებაში ბევრჯელ არის იმისთანა შემთხვევა და მოქმედება, რაც არ იცის, რისთვის ან რად იქცევა ასე თუ ისე, მაგრამ მაინც ისე ჭკონია, რომ სურვილს მისდევს.

და აი ჩვენც ასე ვიეავით. ნიკოს ეგონა, რომ კახეთის ნახვა სურს ძალიან. მაგრამ მის გულში რომ ჩაგეხედათ, მარტო სამშობლო ზესტაფონის სურათებს დაინახავდით. სიკო ფიქრობდა, რომ დარდებს გაიქარვებს და იმიტომ მიდის; ნამდვილად კი ვერ გიპასუხებდა, თუ რად მიდის კახეთში. მე ხომ სრულებით ვერ გეტეეთ ამას, რადგან თავის მოსატეეარი მიზეზიც არა მქონდა, არაცმ თუ სათქმელი. ასეთის უმნიშვნელო მიზნით მივდიოდით კახეთში და არა მის „შესასწავლად“, როგორც დაგწამეს შემდეგში.

ნიკო კეთილი ადამიანია, მაგრამ ფეთქაძე. ფიზიკური ღონე ბეერად უსწრობს გონებაზედ და ამიტომ, თუმცა ძალიერი ხასიათისაა და ერთხელ ნათქვამის ასასრულებლად არავითარ დაბრკოლებას არ მოერიდება, მაგრამ სხვის სიკვდილად ემორჩილება.

ნიკო—ნაზი გულის ბატრონია, რომელსაც ეველაფერი ადვილად ადონებს, მალე ამხიარულებს, მალე აჯავ-

რებს; რომელსაც ბალღური ჩვილი გული შურჩენია და ნორჩი, ოტ წელში განუვითარებელი გონება.

კიკო—გულგრილი, გამოფიტული, რომელზედაც უთქვამთ: „ციური ნაბერწკალი არ უღვივისო“, ამასთანავე... მაგრამ თავის ქება წესი არ არის და მეც მოვითმენ, რას იზამ? მით უფრო, რომ გზა და გზა, იქნება, თითონ თქვენ მიმიხვდეთ ჩემსასაც და ჩემი ამხანაგებისასაც.

—

— ახლა სით უნდა წავიდეთ? აი მოდმივი სკეითხი, რომელიც ჩვენა გვდევდა მთელ გზას და ეხლაც, როცა ავწალაში ჩამოვხტით, წარმოგვიდგა წინ.

— სგურამოს გზა სით არის? შეეეკითხე მე პირველ შეხვედრილ გლეხს.

— დიდი გზა გაფუჭებული გახლავთ, იქით ვერ გაივლით და აი ზედაზენზედ რომ გადიარეთ, კიდევ თვალ ნათლივ ჩახვალთ სგურამოში,—ბრტყელ-ბრტყელად გაგვიგძელა ქართველმა.

წავედით ზედაზენზედ.

ზემო ავწალაში მოგვაგონდა, რომ ბური გვშია და საგზაოთაც არა წამოგვიღია რა. ერთი გლეხის ბაჯი გავჩერეთ და ბურის შოვნა ვსთხოვეთ.

— ავწალაში ბურს ვერ იშოვით.

— მაშ თქვენ რას მიირთმევთ? ვკითხე მე.

— ქალაქიდან ვზიდვთ გამომცხვარსა, თორემ აქ ვინ მოგვცა. აი ზედაზენში კი უველაფერს იშოვით; ბერები არიან და აქვთ საჭმელი.

მეტი რა გზა იყო, მშიერები შეუდექით ზედაზენის ადმართს და გზაზედ ნაბარევი ადგილით და კვალსვლეთ ეული. ზედაზენზედ შორი გზა ეოფილა. დიდმა ადმართმა და სიცხემ ნიკოს და სიკოს კინადამ სული ამოართვა.

ამბობდნენ: მთელ გზას ამისთანა სიცხეში ადარ ვივლითო: ჩვენ სასიამოვნოდ წამოგვედით და არა საწყალებლადაო. მე კი სრულებით ვერა გგრძნობდი სიცხეს, რადგან გაცეებული გული ხორცსაც აგრილებდა თავის საეინულიდან. გრძელმა ადმართმა ძალიან დაგვალა და რამდენჯერმე დავცვივდით დასიცხული კამეჩებივით. ამას ისიც დაემატა, რომ უველას გეშიოდა და სიკო ნერვებ აშლილი სამაისაც კი უველად. ჩვენ ტაშს უკრავდით და დალალულის, დამშეულის სიცილით ვიცინოდით. ეს სიცილი იმისთანა იყო, რომ დამშეული მგლების დრენას უფრო მოგაგონებდათ თავის თავლებ გაბრწყინვებულის ფიზიონომიით. ვისაც შიმშილი გამოუცდიათ, ეცოდინებათ, რომ პირველ ხანებში, მერე თუ თანამოშამშილეებიცა გეავს, იგი ნერვებს ასუსტებს და ეოველი უმნიშვნელო სიტეეა, ან საგანი სიცილსა და დიმილს იწვევს. მერე კი, როცა ხანი გაივლის და მუცელი დაიწეებს მთელი სხეულიდან გაშოწურვას სიცოცხლის წყაროების,—მაშინ სიცილი ქრება სამუდამოდ არა მარტო გულიდან და სახიდან, არამედ ლექსიკონიდანაც, რომელიც ავსება სხვა და სხვა ფერის და სუნის საჭმელებით, ბავშტექსებით... და უველა ეს იმისთანა ბოეზიით და ოცნებითაა მორთული, როგორც მარტო სატრფიალოს ფიქრები არიან ხოლმე.

ჯერ შიმშილს ოცნების მასალა სრულიად არა ჭქონდა დამზადებული, როცა შეგვხვდა რამდენიმე მუშა ნამგლებით ხელში. ოფლიანი წელიდან მოიხსნეს წითელი ხელსახოცები და ზოგმა ბური მოგვცა, ზოგმა ეველი. ულაბი გვექნა—ულუბად არ გვეეოფოდა, ულუბი გვექნა ჯ ულაბათა. ამოობაში გადავედით ერთ მთას და გზა ხევს აჭეეა მაღლა. ამ გზამ, წისქვილის ღრიეით დაქანებულმა და ამოდრუტნულმა, აგვიეანა ტეეში, ს

ნელის სამეფლობელოს პატრონობის ერთი მნათე - მთიული.

მისალმების უმად, საჭმელი გსოხოვეთ, მოეედნა ჩვენთვის. მნათემ, რომლის გაჭაღარავებული წარბები გაკვირვებით დაჰყურებდენ გაჭრილ-ვებულს თვალებს, იჭვანად აგვხედ-ჩაგვხედა მშიერ მგზავრების და მკვახედ გვითხრა: სათ გაშოგოთ საჭმელი, აქ რა დუქნები მაქვს?

— მაშ თქვენ რასა სჭამთ?—ჰკითხა ნიკომ.

— არაფერს არა ვჭამთ. აი ავჭალიდან მოგვაქვს ხალმე, ეხლა ადარაფერი არა გვაქვს.

— სწორედ „ადმინისტრატიული პარიადკები“ გქონიათ, იოხუნჯა სიკომ,—ავჭალას ვეკითხეთ პური—ქალაქშიაო. აქ ვეკითხეთ - ავჭალაშიაო. საგურამოს გეეტევიან —ზედაზენშიაო.

— ეგრეა და რა გიეოთ?

—ტოტა პური მაინც როგორ არ გექნებათ?

— არა გვაქვს·მეთქი; აი თუნდა გაჩვენებ კალათას.

ამ სიტყვებთან გამოიტანა მრგვალი კალათი, რომელშიაც ერთი თვისა თუ არა, ორისა მაინც პურის ნატეხები ეყარა: მწვანე, დაობებული და, მგონი, გამხმარიც. ამისთანა პურს მშიერი მგელიც არ შესჭამდა, არამც თუ ჩვენისთანა პატივცემული აზნაურები, რომლებზედაც ერთი ანდაზა გამოჭრილი ხალხური დაგვირვებით.

იმითდა მოვიბრუნეთ სული, რომ მთელი კოკა წყალი გამოვცალეთ.

შამშალმა ისე შემაწუხა, რომ ზედაზნის ადწერა დამავიწყდ კინალამ. რამდენიმე შენობა გარს შემოსდგომია ჩამომპალს და ჩამომტვრეულს მონასტერს, რომელიც რამდენიმე საუკუნეა თვნჯარით უეურების თვის გაუხეკილ კარმიდამოს. ბალახი აცოცებულა კედელზედ, გუმბათზედ და ზოგიც სარგმლიდან გამოიეურება უსქმური დიაცივით.

— დრუბელნატორის მოწმობა გაქვთ? იკითხა იჭვანად მნათემ, როცა კარების გაღება მოესთხოვეთ.

ნიკომ კიდეც მოხსნა პირი თვის აბგა, რომ ამოედო რადაც «პროშენია», სიკოს—პასპორტის ადა და მე იმავე პასპორტის ფურცლები, როცა სიკომ უთხრა: კაცო, სანთლები მაინც მოგვეიდე, ვიდოცოთო. ამ სიტყვებმა მოალბეს მაშინვე უმეზი ბებერი და კარი გაგვიღო. როცა ფულს ვაძლევდით, (რომელიც მთელ რუსეთის იმპერიაში პასპორტის მაგიერადაც იხმარება) სულის მაგიერადაც) ხელები აშინდად უცახცახებდა. ჩვენ ავეეარეთ იარადი, როგორც მიდებულია, ერთი ჯიბის დანა, კარანდაში, რეეოლვერი, ტერფსა მტვერი ავაცილეთ და მოწყენებით შევედით ნესტიან ეკლესიაში, რომელიც მოროთულია ცუდი ნახატებით. კანკელის მარცხნივ «სასწაულთმომქმედი» წეარია, რომელსაც „იოანე ზედაზნელის ხელით“ აწერია: «Чудодѣйственный источникъ“. დაწერილია მე-VI საუკუნეში, ან რა გასაკვირველია იოანე ზედაზნელს რუსული ნაბეჭდი ასოებით ეწერა, როცა სეფრანგეთის მღვდლები ჭეოდნენ იმ ბუმბულს, რომელიც გაბრიელ ანგელოზს გასცვივდა ხარების დღეს, ან როცა რუსეთში ცხადდივ შეგიძლიათ ნახეა იმ კიბის ნაკლეკისა, რომელიც იაკობმა მარტო სიზმარში ნახა. ეს ეველაეერი ადვილად ასახსნელია, როცა მოვიგონებთ, რომ „საქმენი მისნი მიუწდომელნი არიან“...

მნათემ ეძება ტოლჩა, მაგრამ ვერ იპოვა; ისე რომ წმიდა აიაზმის წყალი ვერ დაგლიეთ. თორემ ვინ იცის, იქნება მოეხერხებინა როგორმე და გაეძღო ჩვენი მომანავებული კუჭი.

დავსთეთ სანთლები და მაშინვე გამოვერიდეთ, რომ არ დაგვესახა, როგორ ჩაქრა მნათემ.

ამის შემდეგ ადარაფერი იეო სანახავი ზედაზენში და საგურამოსკენ წავლასლასდით. მზე იწვერებოდა. ტეეტეე მიგრბოდით თავქვე, როცა საკომ გაგვაჩერა—უეურეთ, რა მშვენიერებაა. მართლაც, მზე ჩაქანებულიეო შორს და დიდი, მთიულური ხმაადივით შემდგარიეო მთის წვერზედ, თითქო ეძნელებოდა კურთხეულ საქართველოს გამოთხოვება, ან, თითქო, მსხარად გვიგდებდა და „ჯიტს“ გვეუბნებოდა. მზეც კი დაგვტინოდა სიბრალოებს, ისე ვიეავით დამშეულნი, დაცემულნი, დავარდნილნი.

მალე საგურამოში ჩავცვივდით და ჩვენი მხცოვანი პოეტის სახლს გაეარეთ ახლო, იმ სახლს, სადაც ოდია ჭაეჭაეაძე წინად ლექსებს სთხზავდა, შემდეგ კი წიწილებსა სჩეკავდა და ფეუტკარს ამრავლებდა. ჩვენ არ გვინდოდა წიწილების დაეერთხობა და ისევ ვარჩიეთ გლეხ-კაცებისთვის მიგვემართნა, რომლებიც თოხებით და ბარებით ხელში მიდიოდნენ სოფლისკენ.

— ბინას და საჭმელს ვერსად ვიშოვით ამადამა?

— სადაურები ხართ?

— ქალაქელები; თიანეთს მივალთ, დაგვიდამდა და ბინა გვინდა.

— რატო არ იშოვით; იშოვით სოფელში. ამ სიტყვებით შეუხვიეს ორდობეში, და ჩვენი შიმშილი აინუნშიაც არ ჩაიგდეს.

ერთი სახლიდან ისეთი ჭადის სუნი გამოდიოდა, რომ ნერწვი მოგვდიოდა! მაგრამ ჩვენ კითხვაზედ გამოვიდა უმეური სახის იმერელი, შორაპნიდან აქ გადმოგდებული გაჭირვებისაგან და გვითხრა მოკლედ:

— არა მაქვს პური.

— მჭადი?

-- არა.

— «ფიტი მწამს და ბოდო მაკვირვებსო», უთხრა ნიკომ.

— „ხო და გიკვირდესო“, ეპასუხა იმერელმა.

წავედით ნახევარზედ უჭადონი. მივედით მეორე იმერელთან, იმანაც ასეთი პასუხი მოგვახალა: სამუშაოდან ეხლა მოვედი, არ მაქვს. მესამემ გვითხრა: «ჯერ არ ჩამომიტანიაო». უოუოდ ზედაზენიდან ამბობდა. გადუხვიეთ მეორე გზას და ამან გადაგვარჩინა იმერლების გულუხვობას. პირველ სახლიდანვე გამოგვიტანა ვიდაც გლეხმა ქალმა ერთი პური და ფულიც არ აიღო. აქამდის ვერ გაძიგია, ეოველთვის ზრდილობიანი და გულუხვი იმერლები რატომ მოგვექცნენ ასე? მერე ამისთანა გაჭირვებაში. მეორე სახლში ვიდაც დედაბერმა შეგვიბრა-

ლა,—ისევ ქალმა, ვერსტვალე იმათ სახელსა,—და Ჭური და რძე გამოგვიტანა ჯამებით; რაც ჯერ ჯამები ავიკესეთ Ჭურით, მერე კუᲭები, ვსთხოვეთ საწოლი, მაგრამ უარი გვითხრეს: ვერ დაგაყენებთო, რადგან წესია: თუ ნატვალმა არ გინახულათ, სოფელში არავინ დაგაყენებთო. ფულს არ იღებდნენ, თუმცა მარტო მაშინ გამოიტანეს რძე, როცა ნიკომ ხმა მაღლა უთხრა: ფულს მოგართმევთო. ვითომ იოუმანეს, მაგრამ მერე გამოგვართვეს და, მგონი, იტოტაგეს კიდეც. მერე ნატვალთან ბიᲭი გაგვატანეს. მაძღარმა კუᲭმა, რომელსაც დილას აქეთია არა ენახა-რა, ისე მხიარულად გაგვარბენია ეკლიანი და წელიანი გზები, თითქო ეკლის მაგიერ ვარდი ეოფილიყვეს და წელის მაგიერ—ხალიჩები. ნატვალი შინ არ იყო, კარებს უკან თავს იბანდა. ნატვლის ცოლი გამოვიდა: რა გნებავთო?

— დაგვიდამდა და თუ შეიძლებოდეს, ამაღამ დაგვაყენეთ.

ამ დროს კარედ მწოლიარე ბებრუხუნა კაცმა თავი წამოიო და გაკვირვებით თვალიერება დაგვიწყო. ნატვლის ცოლი მივიდა და ყურში ჩასძახა: „მგზავრები არიან, ბინა გვინდაო“.

— ᲩᲐ?!

— ბინა მოგვეცითო, ბინა!—აუმაღლა ქალმა.

— ვინ არიან?

— მგზავრები - - ი - - - ი! უფრო მოიმატა ხმა ნატვლის ცოლმა სწორედ ისე, როგორც ტყლეში ბავშვები ჩაᲩᲩვირებენ ქვევრს და უხარიათ, როცა ამასვე ამოსძახებს ქვევრი.

— მერე რა უნდათ?

— ღამე დაგვაყენეთო, ღამეო! დაიყვირა ქალმა და ირონიულად თვალი ჩაგვიკრა.

— რათა, სხვაგან ვერ დადგებიან?

— ბინა ვერ უშოვიათ!

— როგორ?! (აი, ზახრუშალ, ჩაურთო ნიკომ).

— ბინა ვერ უშოვიათ.

— მერე ჩვენ რადა „Ჭალტები გვაქვს? აი იმ ძარში თუ დააყენებ.

— ოთხნდ ერთი Ჭილობა ან ფარდაგი გაგვიშალეთ და კარედ დავწვებით.

ნატვლის ცოლი შებრუნდა ფარდაგისათვის და ბებერი კი იᲭვიანად გვაყურებდა და კი ვერა გვხედავდა. ბოლოს ბურტყუნიც დაიწყო, ეგონა უᲭალანი მასავით ყრუნი არიან და არ ესმითო: „უცხო კაცი უცხო სოფელს არას არგებს, როგორც ხეტი: ზოგი იტყვის გიჟი არის, ზოგიც კიდეᲭ: არის ტეტი“. ასე გაᲭაᲩობდა სტუმართ მოყვარე საგურამოელი, მაგრამ ჩვენ ძალიან დაღალულები ვიყავით, რომ ვირისაგან წიხლი გვწყენოდა; მით უფრო რომ ამ ვირზე შეᲯდომა გვინდოდა და ნატვლის ცოლმაც დაგვამშვიდა: ფარდაგი გაამოიტანა და გვითხრა: „თქვენ მაგას ყურს ნუ უგდებთ ეგრე ლაქლაქი უყვარსო“.

— საბანსა და ბალიშებსაც მოგართმევთ ეხლავე, დაუმატა ქალმა ღიმილით და შებრუნდა შინ. ბებერმა, რომელიც განიკურნა თითქო სიურუვისაგან და სიბრმავისაგანაც, წაიბუტბუტა: „ე საბანი და მუთაქა არ მოიᲭარონო“. ქალმა გაიცინა და გვითხრა:

— ნატვლის მამას ეᲭალა ქურდი ᲩᲒონიაო.

— ნატვალიეთაო, დურთო სიკომ.

წავიხურეთ საბანი და დავიძინეთ. ნიკო ისე ესტეტიურად ხვრინავდა, თითქო ლაᲭარდი ცის და ვარსკვლავების ეშხი სწვავსო. სიკო უსტვენდა ცხვირით, როგორც ბავშვური სტვირი და იდიმებოდა... ალბად თავი თიანეთში ეგონა და თავის დულტინეა-თეკლეს ეკურკურებოდა. მე გვიან ჩამეძინა და იქნება უარესი ხმები გამოვატემინე ჩემ ცხვირს.

(შემდეგი იქნება)

რ. გაბაშვილი.

გზა და გზა.

ამ უკანასკნელ წლებში გაიმართა ბათომსა და მარსელ შუა ე. წ. ნორდ დეიჩერ ლოიდის (ჩრდილოეთ გერმანიის ლოიდის) გემების მიმოსვლა. გემების მიმოსვლის გამართვას დიდი რეკლამა უძღოდა. შემდეგ ვინც იმოგზაურა ლოიდის გემით, იმათ უფრო ხელი შეუწყვეს ამ რეკლამას.

ამ რიგად, საზღვარ გარეთ წამოსვლა რომ დავაპირე, დიდ გასაᲭირში და საფიქრებელში ჩავარდი, რა გზა და საშუალება ამერჩია, ხმელეთი და რკინის გზით მოგზაურობა თუ ზღვა და გემი. ბოლოს ზღვაზე მოგზაურობა ვარჩიე და სააგენტოში გავემართე ბილეთის ასაღებად. აქ, რაც გამეგონა ამ საზოგადოების გემების ქება, ათი იმდენი დაუმატა მისმა ტუილისელმა აგენტმა, გემებიც საუცხოვოა, მორთულობა და მოწყობილობა მდიდრული, ᲩᲐᲛᲐ-სმა უხვი და საუკეთესოვო.

ასეთის ქებით უფრო დაიმედებული წინ-და-წინ ვსტკბებოდი იმ სიამოვნებით, რომელიც მომელოდა ამ მოგზაურობაში, რომელიც სრულ ათ დღეს ᲮᲜდა გაგძელებულიყო, რადგან ზღვით მოგზაურობას ნეაპოლამდის ვაპირებდი.

სამ ივლისს ჩამოვედი ბათომს, საიდანაც უნდა დაწყებულიყო გემით მოგზაურობა. მივედი ნავთსადგურში, ავედი გემზე, მოვნახე ჩემი კაბინა (ცალკე განყოფილება); არა თუ არაფერი სიმდიდრე არა სჩანდა, პირიქით, არც ერთ რუსულ გემზე არა ვყოფილვარ ისე შევიწროებული, როგორც აქ. მაინც გულს არ ვიტეხდი და თავს ამით ვინუგეშებდი, რომ სხვაფერ ყველაფრად კარგად მოწყობილი ვიქნებითქო. მაგრამ მალე მტეური გაგიქრა. მკითხველო, მალე მე დავრწმუნდი, რომ ყველა სხვა მხრი-

თაც იმედ გაცრუებული დავრჩი, დაიძრა თუ არა გემი, საუზმეზედ მიგვიწვიეს. იმ საჭმელს თუ საუკეთესო ეწოდება, ცუდი რაღა არის? ვიღაც მგზავრმა იოხუნჯა, სანოვაგე ჯერ ამერიკიდგან ბრემენშია მიტანილი, იქიდგან ბათომში მოტანილი და ეხლა იმითი გვკვებავენ მთელ გზასაო. სწორედაც ასე უნდა ყოფილიყო. სახელები კი მრავალი იყო, მაგრამ საჭმელად კი არა ვარგოდა რა.

რა გაეწყობოდა, ამასაც შევურიგდი და ერთად ერთ იმედად და ნუგეშად ის-ღა დამრჩა, რომ ზღვაზე ვიყავი და მის სუფთა ჰაერით და მის დაუსრულებელ, საიდუმლოებით სავსე სივრცით დავსტკბებოდი. ეს იმედი კი ღვთის მადლით აღარ გამცრუებია, ალბად იმიტომ რომ ზღვის ქება არ შედის ნორდ დეიჩერ ლოიდის რეკლამის პროგრამაში.

პირველ დღეს საუცხოვო კარგი დარი დაგვიდგა. მართალია სარკესავით გადაშლილი არ იყო, ხან-და-ხან რომ იცის შავმა ზღვამ, ძლიერ იშვიათად, მაგრამ ოდნავ შესამჩნევი ღელვა ვერავის ვერ შეაწუხებდა. ხოლო გადაშლილი სივრცე სულ წინისკენ იზიდავდა თვალსა, გრძნობასა და გონებას.

მზე ჩაესვენა სადღაც შორს, მაგრამ ამავე ზღვის წყალში, ბინდმა შემოჰკრა, აქა-იქ ცაზე გაანათა ვარსკვლავებმა: გემის ჩარხი კი თავის დაჟინებულ ხმაურობას განაგრძობს. სადღაც კუნჭულში მიმალულს ამ დროს არ გინდა ადამიანის ხმის გაგონება, შენს ფიქრებს ეძლევი და ცალკე ზღვის, ამ უშველებელ მდევის, ბუტბუტის ხმისა, ცალკე ჩარხის სულ ერთ და იმავე ღრიტინის შთაბეჭდილების ქვეშ რა ვაი, რა აზრი არ გებადება: სად არ გადადიხარ, რას არ ოცნებობ; გრძნობ კი, რომ აზრის დაუსრულებლობას ნათესავი დაუსრულებლობა უპოვია,—ზღვის სივრცის დაუსრულებლობა...

ბათომში გამოგვიცხადეს, ხორველობის გამო სტამბოლში ხუთის დღის კარანტინი უნდა გამოიაროთო. ამიტომ ჩვენს გემის უფროსს მაინცა და მაინც არ ეჩქარება და ნელ-ნელა მიაჩანჩალებს გემს, —ორის დღის სავალი გზა სამ დღეს გააგრძელა. ერთ ადგილას სამ დღეს გაჩერებასაო, სჯობია, ორი დღე გავჩერდეთო. საქმე ის არის, რომ ის დრო, რომელსაც ბათუმიდან გასვლის შემდეგ, ზღვაში დაჰყოფს გემი, კარანტინად ეთვლება.

ასე თუ ისე, ექვს ივლისს მივედით კონსტანტინეპოლის სრუტეში, ე. წ. ბოსფორის შესავალთან. აქ უნდა დაგვეყო სრული ორი დღე. გადაადგდეს ღუზა და გემი გაჩერდა.

მეტი იქნება იმის მოყოლა, თუ რა მოსაწყენია საზოგადოდ ლოდინი და მერე გემზე, სადაც საკმარისი ადგილიც არა გაქვს კაცს სამოძრაოდ და სასეირნოდ.

კარანტინში მოსაწყენ დროს მოხდა ერთი შემთხვევა, რომელმაც ცოტა არ იყოს გაგვართო ერთ ხანს სალაპარაკო მასალად გამოგვადგა, და ლოდინი შეგვიმსუბუქა. საღამო ხანს მატროსებმა გემის გარშემო ბანაობა დაიწყეს. ერთბაშად გადახტებოდნენ გემიდან ტ გარშემო ცურაობდნენ. ერთმა მათგანმა ვერ მოახერხა მარჯვედ ჩახტომა თუ სისუსტის გამო, გადახტა თუ არა, იმ წამსვე ჩასძირა. არიქა კაცი იხრჩობაო, გაისმა ხმა, არ გასულა რამოდენიმე წუთი, გემის უფროსის მესამე თანაშემწემ, უწვერულვაშო ყმაწვილმა, როგორც იყო ჩაცმული გადახტა ზღვაში და ამოიყვანა საბრალო ზღვაოსანი. გემზე გადამრჩენს ტაშის კვრით დახვდნენ, უცბად გაიმართა ხელის მოწერა და ერთბაშად შეიკრიბა ხუთი თუმანი მამაც ზღვაოსნისთვის საჩუქრის საყიდელად.

დაღამდა ის დღეც, მეორე დღეს კარანტინი გვითავდებოდა და კონსტანტინეპოლში უნდა შევსულიყავით.

გულის ფანცქალით ველოდით ამ დღეს, ვისაც კონსტანტინეპოლი არ გვენახა. დედამიწაზე არა არის რა ბოსფორისთანა სანახავიო, გვეგონა და, რა თქმა უნდა, მოუთმენლად ველოდით მის ნახვას.

დადგა კარანტინის უკანასკნელი დღეც. საათის თერთმეტზე მოვიდა გემზე ოსმალელი უფროსი ექიმი; დაგვათვალიერა ყველანი და ნება მოგვცა დავძრულიყავით.

აგერ ამოათრიეს ღუზა, დარეკეს, გემმა დაისტვინა ტ დაიძრა. რა თქმა უნდა, ვინც კი იყო გემზე, ყველა ზემო ბაქანზე იდგა ტ წინ გაიყურებოდა. აგერ გამოჩნდა კავაკი,—პირველი დასახლებული ადგილი და სიმაგრე, კავაკი მცირე აზიისა და კავაკი ევროპიული, ანუ რუმელიისა. აქედან დაწყებული სტამბოლამდე საათნახევარი სავალი გზაა; ამ გზას შეადგენს მიკლაკნულ-მოკლაკნული, ზოგან ორის-სამის ვერსის სიგანე, ზოგან უფრო ვიწრო სრუტე. ამ სრუტეს ეძახიან ბოსფორს, იმ ბოსფორს, რომელიც ისე განთქმულია თავის სილამაზით და მართლაც მეტად მომხიბლველი რამ და თვალწარმტაცია. სწორედ სამოთხეს ვუწოდებდი ამ ადგილს, სხვა ადგილებიც რომ არ მენახა ამ სახელის ღირსი. ბოლოს სასამოთხო ადგილი მრავალია ამ ჩვენ ცოდვილ მიწაზე, ადამის შვილმა რომ მისი დაფასება იცოდეს, თავის პირველ მამას არ ბაძავდეს და სამოთხის სამოთხისებურად მოხმარება იცოდეს...

ბოსფორის ნაპირები სერებს წარმოადგენს. მთელ სიგძეზე ეს სერები შემკულია მდიდარის მცენარეულობით, როგორც ბუნებრივით, ისე ხელოვნურად გაშენებულით; ერთის სიტყვით ორივე ნაპირი დაუბოლოვებელ ბაღს შეადგენს და ბაღებში გაშენებულია საუცხოვო სილამაზის სხვა და სხვა სტილის ვილები, რაც უფრო უახლოვდებით კონსტანტინეპოლს, უფრო და უფრო მატულობს სახლებისა და სასახლეების რიცხვი. ამ ადგილების მცოდნენი შორიდან გვიჩვენებენ სულთნის სასახ-

ლეს, გადამწვარს ,,ჩირაღდანს'', სასახლეს, რომელშიაც ბოლო დროს მოთავსებული იყო ოსმალეთის ახალგაზდა პარლამენტი; ამავე პარლამენტის ეხლანდელს სასახლეს. ამ უკანასკნელს გარდა ყველა რაღაც ზღაპრულ მშვენიერებას წარმოადგენს. ეხლანდელ სულთანის სასახლე, მაგალითად, ზედ წყლის პირას სდგას, ბოსფორის მშვიდი წყალი ნაზად სჩქეფს და ეალერსება მის მარმარილოს აივანს და თითქო ნიშნად იმისა, რომ ეხლანდელი რეჟიმი უფრო შეეფერება დღევანდელ დღეს, მაშინ როდესაც ეს სასახლე ყველა გამვლელ-გამომვლელისთვის, —და ვინ გინდათ, რომ აქ არ დაიარებოდეს, — ადვილი დასანახავია, ძველი ილდიზკიოსკი სადღაც სერს იქით მიმალულა ბაღში და გემიდან სრულებით არა სჩანს. მოსჩანან მხოლოდ ყაზარმები, რომელიც გარშემო აკრავს ილდიზკიოსკს. წითელი სულთანი თავის ხელმწიფობის ბოლო დროს სულ იმას ჰფიქრობდა, როგორ უზრუნველ ეყო თავისი თავი ყოველისავე განსაცდელისაგან და გარშემო ჯარები შემოიხვია. მაგრამ დახეთ ბედის უკუღმართობას, — სწორედ იქ იპოვა თავისი დამღუპველი ძალა, სადაც შველასა და დაცვას ეძებდა...

ახალ სულთანის სასახლის შემდეგ დაყოლებულია აუარებელი ჰარამხანები; ეს უწინდელ სულთანის, დიდის მთავრებისა და სხვათა ჰარამხანებია. ჰარამხანა, როგორც საზოგადოდ ყოველსავე კერძო სახლის ქალთა განყოფილება, ადვილად გამოსაცნობია, —ფანჯარების ქვედა ნახევარი, კაცის სიმაღლეზე, დაჩრდილულია რითიმე.

საათნახევარმა, რომელიც დაგვჭირდა ბოსფორის გასასვლელად, უცბად გაიარა, ჩვენ თვალის წინ გაიარა საუცხოვო პანორამამ; ვერ ვასწრობდით დავმტკბარიყავით ერთის სანახავობით, იშლებოდა მეორე უკეთესი. და ასე მთელის საათნახევრის განმავლობაში.

სრულ ორ საათზე გემი გაჩერდა ნაპირთან და მთელი ის ხალხი, რომელიც მასზე იყო, გაეშურა ნაპირისაკენ; ვინ უნდა ჩამომხტარიყო და ვის გემის გადასვლამდის უნდოდა ქალაქი დაეთვალიერებინა.

ახირებულ სანახავს წარმოადგენს ამ ადგილს კონსტანტინეპოლი. უყურებ ნაპირს და ჰფიქრობ, ნუ თუ შესაძლებელია იმ მშვენივრობას, რომელიც ეს ეს არის გამოვიარე. ასეთი ნავთსადგური ჰქონდესო. რაღაც ულაზათო, ბინძური სახლები, თვით ნავთსადგური, ანუ უკეთ, ნაპირი ვიწრო, ბინძური და მოუხერხებელი. მაგრამ საკმარისია პირი წყლისაკენ ჰქნა და ისევ ის სილამაზე დაინახო, ისევ ის თვალწარმტაცი სიჭრელე, რომელიც მხოლოდ ზღვაზე შეიძლება ნახოს კაცმა. ასობით დასრიალობენ ნავები, პატარა გემები, ვეშაპებივით მიდი-მოდიან, ან ერთ ადგილას დგანან ამ ნავებსა და პატარა გემებს შორის დიდი გემები, და ყველა ეს გემები, ნავები, დიდი გემები ათასნაირის ბაირაღებით შემკული, სავსე სხვა და სხვა ჯურის ხალხით ზღვის ფონზე რაღაც საოცარ სურათს წარმოადგენს. გაღმა კი ამართულან სახლები და სასახლეები და საკვირველად ამკობენ ამ სანახაობას.

ჩამოვედით გემიდან. გადავდგით რამდენიმე ნაბიჯი თუ არა, მოგვიახლოვდა ვიღაც კაცი და რაღაც გადასახადი მოგვთხოვა. გამოდგა, რომ ვინც ნაპირზე გადმოვა, გადასახადი უნდა გადიხადოს. ესეც ძველი სულთანის ნასიკეთარი, როგორც ჩვენში იტყვიან. რასაც აბდულ-ჰამიდი ჩადიოდა, ყველაფერს ფულის ანგარიშს უწევდა ევროპა. შეავიწროვებდა ვისმე და მფარველი ევროპა თავის ჟანდარმერიას ჩააყენებდა მშვიდობიანობის აღსადგენად, რასაკვირველია, ოსმალეთის ხარჯით. ამოხოცავდა და ამოჟლეტდა სადმე რომელიმე კუთხის მცხოვრებთ, აბდულ ჰამიდი, ისევ ევროპა კისრულობდა დახმარებას და ისევ ოსმალეთის ხარჯით; ახლა თითონ წითელ სულთანს რამდენი სჭირდებოდა თავისთვის ფული და რამდენს სესხულობდა. რა თქმა უნდა, ყველა ამას ოსმალეთის მოუწყობელი უწინდელი ხაზინა ვერ გაუძღვებოდა და ევროპამაც, როგორც უძლურს, პატრონობა დაუწყო, გაუჩინა კონტროლი და ზოგან, რათა თავისი ვალი გაენაღდებინა, თითონ დაიწყო პატრონობა, ასე წარმოდგა ზემოდ ხსენებული გადასახადი, ე. წ. droit du guai, რომელიც რომელიღაც ფრანგულ კამპანიას ეკუთვნის. ერთი მევალეთაგანია ალბად, რომელიც ამრიგად ინაღდებს ვალს.

ამგვარისვე მიზეზებით აიხსნება რასაკვირველია ის შეუწყნარებელი ყოველ თავისუფალ და ძლიერ სახელმწიფოში მოვლენაც, რომ კონსტანტინეპოლში ყოველ დიდ სახელმწიფოს თავისი ფოსტა აქვს, მაგალითად, შეგიძლიათ კონსტანტინეპოლიდან ტფილისში წერილი გაგზავნოთ გერმანულის ფოსტით (უნდა დააკრათ გერმანული მარკა), რუსეთის ფოსტით—უნდა დააკრათ რუსული მარკა და სხვ... ცუდი მემკვიდრეობა დაუგდო აბდულ-ჰამიდმა ახალგაზდა ოსმალეთს, მაგრამ დიდია ალლახი და შემწე.

ყველაზე უწინარეს, რასაკვირველია, ქალაქის ძველ ნაწილისაკენ გავსწიეთ, რომელსაც ახალს ნაწილისაგან ჰყოფს კარგა განიერი და ძლიერ გძელი უბე. ამ უბეზე გადებულია რკინის ხიდი. ეტლი ძლივს მიდიოდა წინ და ისიც ნელის ნაბიჯით, ისეთი მოძრაობაა ამ ხიდზე, პირველ დანახვაზე გეგონებათ, რაღაც უბედურობა მომხდარა და მთელი ქალაქის ხალხი აქ შეგროვილაო. ტყუილი რომ არა ვსთქვათ, ყოველ წამს ხიდზე ათასამდე ქალი, კაცი და ბავშვია. აქაც გადასახადი. როგორც იქნა, გავატანეთ ამ ხალხსაც და შევედით ნამდვილ სტამბოლს. ჩვენში ამ სახელს მთელ კონსტანტინეპოლს უწოდებენ, მაშინ როდესაც ეს სახელი

მხოლოდ ერთ ნაწილს ჰქვიან, ძველს ნაწილს. სტამბოლის ნაწილშია მოთავსებული ძველი მეჩითები, აია სოფია მათ შორის, და უმაღლესი პორტა ანუ სავეზირო და მაშასადამე ეხლანდელი კაბინეტი.

დრო ნებას არ გვაძლევდა, მთელი ქალაქი დაწვრილებით დაგვეთვალიერებინა და ამიტომ მხოლოდ მეჩითები დავათვალიერეთ. ყველაზე ლამაზი კოხტა, სწორედ აღმოსავლეთურ გემოზე მორთული ვალიდეს მეჩითია. მთელი კედლები, გუმბათი, ერთის სიტყვით მთლად ერთიანად შიგნით აღმოსავლეთურ მოზაიკით არის მოწყობილი. მთელი იატაკი, როგორც სხვა მეჩითებში, მოფენილია ჭილობებით. ხოლო ზემოდგან ჩამოშვებული განიერი, ხუთ-შვიდ არშინ დიამეტრის სიგანე ხომლი. ზოგანეს ხომლი ისე დაბლაა ჩამოკიდებული, რომ თუ არ დაიღუნეთ, თავს აკრავთ. ეს მეჩითი, როგორც სხვა მეჩითები, თავის სიდიდით ᲩᲘᲕᲠᲪᲘᲗ იპყრობს თქვენ ყურადღებას, სხვა მათში არაფერია. ვერ ნახავთ აქ ვერც ნახატს რასმე, ვერც ქანდაკებას. დიდი რაღაც შინაგანი ძალა უნდა ჰქონდეს სარწმუნოებას, რომ ისე იზიდავდეს ადამიანს, როგორც მაჰმადის რჯული იზიდავს მართლმორწმუნე მაჰმადიანს, როდესაც არავითარ გარეგან მიმზიდავ საშუალებას არა ხმარობს ამისთვის,—არც ნახატი, არც ქანდაკება, არც მუსიკა, ცალიერი კედლები მხოლოდ და ისეთი მხურვალე ლოცვა, რომელსაც ყოველთვის ხედავთ მეჩითში, როდესაც არ შეხვიდეთ.

სიდიდითვე იპყრობს თქვენს ყურადღებას აია სოფიის მეჩითი, ერთ დროს ქრისტიანთა ტაძარი, შემდეგ მეჩითად გადაკეთებული ოსმალებისაგან, როდესაც კონსტანტინეპოლი დაიპყრეს. მართალია, აია სოფია წმინდა ბიზანტიურ სტილის შენობაა, მართალია ისიც, რომ აქ სინათლეც უფრო მეტია, უფრო ხალისიანი შეხედულობა აქვს შიგნით, ვიდრე დასავლეთ ევროპის ძველ გოტიკურ ტაძრებს, მაგრამ მე არა ვარ ამ სტილის თაყვანის მცემელი. ფართო და დაბალი გუმბათი შეიძლება ნაშენობის საკვირველებას შეადგენდეს, ხოლო ვერაფერ სილამაზეს ᲕᲔᲠ შეიცავს. გარედგან მეტად ამშვენებს ამ მეჩითებს გარშემო შემორტყმული მინარეტები.

უკანასკნელი მეჩითი, რომელიც დავათვალიერეთ ჩვენ, იყო ე. წ. სულთანი, რომლის გვერდით სულთანების განსასვენებელი შენობაა. სხვაფერ არაფრით არ განირჩევა ზემონახსენებს მეჩითებისაგან.

აია სოფიაში ოსმალებს ყოველივე საშუალება უხმარიათ, რომ ქრისტიანობის ყოველივე ნიშანი წაეშალათ. შესავალ დერეფანში წინა კედელზე ძლივს აჩნია ძველი ნახატი სახე ხელმწიფისა და მისის მეუღლის და შიგნით, იქით ეკლესიაში ორსამ შესავალ კარების თაღებზე დარჩენილია მოზაიკით გაკეთებული ჯვარი-

რაც შეეხება კონსტანტინეპოლის ცხოვრებას, რამდენიმე საათის განმავლობაში მისი რამდენადმე გაგება, მისი დაკვირვება, რასაკვირველია, შეუძლებელია.

შედარებით კი იმასთან, რაც უწინ ყოფილა, სრულებით თავისუფალია და ძირითადად შეცვლილი. გემზე იყო რამდენიმე მგზავრი, რომელთაც უწინ ეცხოვრათ კონსტანტინეპოლში და სავაჭრო საქმეც ჰქონიათ იქ. იმათი პიტყვით წინადადება: „კედლებსაც კი ყურები აქვსო“ უბრალო მეტაფორა კი არ იყო. თავის დედის შვილი იქნებოდა ვინმე კონსტიტუციასა და სახელმწიფო მართვა-გამგეობის შესახებ იტყოდა რასმე კი არა, ვინმე მოხელის წინააღმდეგ დასძრავდა კრინტს, დიდ ხანს არ დააყოვნებდნენ,—უცბად უკრავდნენ ხოლმე თავს. მთელს კონსტანტინეპოლში, კონსტანტინეპოლი რა არის, მთელს ოსმალეთში არ იყო ისეთი კუთხე, ვისმე არა თუ ეთქვა რამე, კრინტი დაეძრა. ეხლა კი ყველა ყავახანები სავსეა მომუსაიფე ხალხით; მთელი ეს ხალხი კითხულობს გაზეთებს, რომლებიც სავსე არიან სხვა და სხვა პოლიტიკურის სტატიებით, ხმა მაღლა ბაასობენ პოლიტიკისა და საზოგადო კითხვების შესახებ და არავისი რიდი და შიში არა აქვთ.

რამდენად საშიში იყო ძველ რეჟიმის დროს კონსტანტინეპოლში ცხოვრება და რამდენად განირჩევა ის დრო ეხლანდელისაგან, ამას საუკეთესოდ ასურათებს შემდეგი მოვლენა: ჩვენს გემზე ერთი ბერძენი, ვაჭარი იყო ფოთიდან ათინას მიმავალი. დიდი ხანია კონსტანტინეპოლში არ ყოფილიყო და იქ მომხდარი ცვლილება მხოლოდ გაზეთებიდან იცოდა. ოსმალეთსა და საბერძნეთს შორის ამ ბოლო დროს კუნძულ კრიტოსის გამო დარღვეულია ურთიერთობა. კონსტანტინეპოლის ნავთსადგურში რომ შევედით და ყველანი ნაპირზე გადასვლას რომ ვაპირებდით, ჩვენი ბერძენი განზე დადგა ᲩᲘᲜᲐᲞᲘᲠᲖᲔ გადასვლაზე უარი სთქვა,—რა ვიცი რა ხრიკს მომდებენ და რას მიზამენო; ვიცი, რა ხალხიც არიანო. ასე დაშინებული ჰყავდა ძველ რეჟიმს ყველა იმ ტომების წარმომადგენელნი, რომელნიც ოსმალეთში სცხოვრობენ. თვით კონსტანტინეპოლში კი ეხლა ყველა ტომის ხალხი ირევა ᲩᲘᲠᲐᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲕᲘᲡᲘ შიში არა აქვს. ვისაც ვკითხეთ, პირიქით, ყველა ერთხმად ამტკიცებდა, რომ ეხლა არაფრის შიში აღარ არისო და ყველა იმედიანად შეჰყურებს მომავალს. ვიღაც იქაურს მკვიდრს ვუთხარი, მეტად უსუფთაო ქალაქია-თქო კონსტანტინეპოლი, მეტად ვიწრო ქუჩებია, მიმოსვლა ძნელია-თქო. არც ტრამვაია და არც სხვა რამე. შე დალოცვილო, ასე უცბად მხოლოდ ზღაპარში შენდება ქალაქიო, ᲗᲘᲛᲘᲒᲝ მან, პირიქით ძლიერ მონდომებულიც არის ეხლანდელი მთავრობა და ძლიერ დიდ მუყაითობასაც იჩენს ქალაქის ცხოვრების მოწესრიგებაში; ბევრს ახალ შენობებს აშენებს, სატრამვაიო გზების კეთებასაც შე-

უდგა. აბა, გამოიარეთ ერთი ოთხ-ხუთ წელიწადს იქით და მაშან ნახავთ, თუ როგორი იქნება კონსტანტინეპოლიო.

გულში დიდი გამარჯვება ვუსურვე ჩემს მოსაუბრეს და ნავთსადგურისაკენ გავუდექი.

გემზე რომ ავედი, მზე უშველებელ წითელ ბურთსავით ნელ-ნელა ჩადიოდა მარმარილოს ზღვის წყნარ წყალში, რომელსაც მზის ჩასავლიდან ჩვენამდე მოყვითალო წითელის ფერის ზოლი დადებოდა. ჩვენს გარშემო კი ცხოვრება სდუღდა და გადმოდუღდა,- იყო ერთი წივილ-კივილი პატარა გემებისა, რომელნიც გზას იშუქებდნენ პროჟექტორებით, სხვა გემს არ წავაწყდეთ და თავი არ შევალახოთ ან კიდე ჩვენზე უფრო პატარა ნავი არ დავღუპოთო, და მენავეების ხმა მაღლა ლაპარაკი და ყვირილი. მთელი ზღვა განათებული იყო ათასის სინათლით გემებზე, ნავებზე და ნაპირებზე, და სწორეთ ძნელი სათქმელი იყო, როდის უფრო სჯობდა აქაური სანახაობა, დღითი თუ ღამით.

ერთ საათს უკან კიდეც გავუდექით გზას.

აი კიდევ ერთი მოვლენა, რომელიც თვალსაჩინოდ განარჩევს ძველის რეჟიმის დროს ეხლანდელისაგან, მომმართა ერთმა მგზავრთაგანმა. ვინ გაბედავდა აბდულ-ჰამიდის დროს ან შემოსვლას ან გასვლას აქაურის ნავთსადგურიდან დაღამების შემდეგაო; რაკი დაღამდებოდა, არც ერთს შემოსულს გემს ნება არა ჰქონდა გასულიყო და მომავალს შემოსულიყოვო.

ერთხელ კიდევ ვუსურვე გულში გამარჯვება ახალგაზდა ოსმალეთს და ბაქანის ბოლოსაკენ გავემართე, რომ დავმტკბარიყავი იმ სანახაობით, როელსაც წარმოადგენს კონსტანტინეპოლი და მისი ნავთსადგური ღამით.

ინზენი.

(გაგრძელება იქნება)

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ

ბ ო ლ გ ა რ ი ა

მე სტამბოლში ერთი დღეც არ დავრჩენილვარ. თუმცა ნაცნობები და თითქმის მეგობრებიცა მყვანან ოსმალეთის დედა ქალაქში; თუმცა შინაგან საქმეთა მინისტრი—ბ-ნ ტალაატ-ბეი დიდის ყურადღებით მომეპყრო და აღმითქვა ყოველგვარი შემწეობა, თუ რაიმე დამჭირდებოდა—რომლის გულისთვის დიდ მადლობას ვწირავ ამ შესანიშნავ ბ ნ ჰიერ მოღვაწეს ეხლანდელ ოსმალეთისას,--მაინც მე დავტოვე სტამბოლი და გავწიე სოფიაში.

სოფია—ბოლგარიის დედა ქალაქია; ბოლგარია შარშანდლამდე (ნომინალურად მაინც, თუ რეალურად არა) შეადგენდა ავტონომიურ ნაწილს ოსმალეთის იმპერიისას.

გთხოვთ ნება მომცეთ, ორი სიტყვით მოგაგონოთ ბოლგარიის წარსული. ესეც დასურათებაა ეროვნულ მოძრაობისა და ეს წარსული სამაგალითოა ბევრთათვის.

რა იყო ამ ოცდა თორმეტი წლის წინად ბოლგარია?—არაფერი. იყო კი წინედ ბოლგარია თავისუფალი სახელმწიფო. მაგრამ ის სახელმწიფო დაცემულა და დანგრეულა ცხრა საუკუნის წინედ. ცხრა საუკუნის განმავლობაში ბოლგარიის ერი მოკაკული, გაჭყლეტილი და მიწასთან გასწორებული, არ არსებობდა, როგორც ერი. იყო მხოლოდ დამონებული მშიერი, უმეცარი და საწყალი ხალხი, რომელსაც ყველა ჰყვლეფდა, ვისაც კი ხალისი ჰქონდა და გაყვლეფა არ ეზარებოდა. რასაკვირველია ამისთანა ერი თვითონ ვერასდროს ვერ წამოდგებოდა, მაგრამ საბედნიეროდ გამოიცვალა საერთაშორისო ძალთა განწყობილება, რუსეთმა ძალიან გაიწია, მისი საზღვარი მიუახლოვდა ბოლგარიას და მისი მისწრაფება—წმ. კონსტატინეს დიადსა ქალაქს... შეეჯახნენ ერთმანეთს ორი უშველებელი იმპერია—რუსეთი და ოსმალეთი. და ამ შეჯახებამ ბოლოს და ბოლოს წამოისროლა ზევით ბოლგარიის საკითხი. ბერლინის ხელშეკრულობის ძალით დაარსდა **ავტონომია** ბოლგარიისა. ეს ავტონომია იყო ძალიან ვრცელი. ბოლგარიას სრული უფლება ჰქონდა თვითმართველობისა და საკუთარი კანონმდებლობისა; იგი თვითონ ირჩევდა თავის მთავარს, ნება ჰქონდა შეექმნა ბ ჰყოლოდა თავისი საკუთარი საძხედრო ძალა, თავისი ფული, სასამართლო, ეკლესია, თავისი საფინანსო სისტემა და სადამოჟნო საზღვარი. ერთის სიტყვით, ეს ავტონომია კი არა, სრულებით დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩაითვლებოდა, ერთი მუხლი რომ არ ყოფილიყო ბერლინის ხელშეკრულობაში: ეს მუხლი, რომლის ძალით ამორჩეული მთავარი ბოლგარიისა უნდა ყოფილიყო დამტკიცებული ულთნის-მიერ, აი სულ-

თნის ამ უფლებაში იხატებოდა უმთავრესად ოსმალეთის სუვერენიტეტი.

ამ ვრცელი თვითმართველობით ბოლგარიამ დიდად ისარგებლა... არა, სჯობიან, ყოველ საგანს თავისი სახელი ვუწოდოთ. ბოლგარიამ კი არ ისარგებლა, არა; თვითონ ბოლგარია დაბადებულ და თითქმის არარაობიდან შეთხზული შეიქმნა ამ თვითმართველობის მიერ. აი აქ იხატება გასაოცარი შემოქმედებითი ძალა ეროვნულ თავისუფლებისა. ვის არ უნახავს დაქვეითებული და დაცემული ერი? ისმის ყოველგან ტირილი და მოთქმა: «რა გვეშველება ღარიბნი ვართ, საწყლები ვართ, ფული არა გვაქვს, კაცი არა გვყავს... რა გვეშველება?!.» ვის არ გაუგონია ამისთანა მოთქმა? ხსნა და საშველი მხოლოდ ერთია: ეროვნული თვითმართველობა. აი ბოლგარია: არც ფული ჰქონდა, არც კაცი ჰყავდა. მაგრამ დაჰბერა თუ არა შემოქმედმა სულმა ეროვნული თავისუფლებისამ, კაციც აღმოჩნდა, ფულიც მოგროვდა. გაიყვანეს გზები, ააშენეს ქალაქები, მოჰფინეს ქვეყანა სკოლებით, შეჰქმნეს დიდებული სამხედრო ძალა... რაღა ვთქვა, რა ჩამოვთვალო?.

ბოლგარია ეხლა თავისუფალი სახელმწიფოა. მის დედა ქალაქში—სოფიაში — დანიშნული იყო სლავიანთა კონგრესი. სწორედ ამ კონგრესზე მივეშურებოდი მეც.

ნეოსლავიზმი

შევედი თუ არა იმ უშველებელ შენობაში, სადაც კრება იყო სლავიანთ ერთა წარმომადგენლებისა, პირველად თვალში მეცა უშველებელი დაფერადებული რუკა, კედელზე გამოფენილი. ზალა სავსე იყო ხალხით, ქალებიც ბლომად იყვნენ. კრების თავმჯდომარემ, ბ. ს. ს, ბობჩევმა, დიდის თავაზიანობით მიმიღო და ნება მომცა თავისუფლად დასწრებისა ყოველ კრებაზე. მე დავიჭირე ადგილი და დავიწყე თვალყურის დევნა.

აქ იყვნენ წარმოდგენილი ყველა სლავიანთა ერები: რუსეთი, ჩეხია, სერბია, ბოლგარია, ჩერნოგორია, ხორვატია; არ იყვნენ მხოლოდ პოლონელები. დავინახე სახელმწიფო დუმის თავმჯდომარე; გუჩკოვი, მილიუტინი, გრაფი ბობრინსკი, პროფ. ბეხტერევი, პოგოდინი; ჩეხიის ცნობილი დეპუტატი კრამარჟი, გალიციის დეპუტატი ავსტრიის რეიხსრატში მარკოვი, რომელმაც სახელი გაითქვა იმით, რომ რეიხსრატში სიტყვა წარმოსთქვა რუსულად. რუსულ ენას ავსტრიის რეიხსრატში ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც მაგალითად, ქართულ ენას რუსეთის სახელმწიფო დუმაში. ბლომად იყვნენ სხვა შესანიშნავი პირებიც, მაგრამ ჩემი ყურადღება კი იმ რუკას არ ჰშორდებოდა, რომელზედაც ზემოდ მოგახსენეთ.

ის რუკა დაფერადებული იყო, ე. ი. ის ქვეყნები, რომლებიც სლავიანთა რასსას უჭირავს, წითლად იყო წარმოდგენილი, მთელი რუსეთი, გარდა კავკასიისა, პოლონეთი და ჩეხია და მთელი ბალკანეთის ნახევარ კუნძული—სულ წითლად იყო დაფერადებული. აქ საინტერესო იყო ერთი: ჩეხიის წინ წასული შტო, და მეორე: ბალკანეთი, აქედან აშკარად სჩანდა, რომ ჩეხიას გაურღვევია გერმანელთა მასსა და თვითონ თითქო ჩაჭყლეტილია ამ მასსის შუა. სჩანს, რომ ამ ქვეყანას დიდი შრომა და ბრძოლა დასჭირდება, რომ დაიცვას თავისი თავი. რაც შეეხება ბალკანის ნახევარ-კუნძულს, მე სახტად დავრჩი. მე არ მეგონა, რომ მთელი ეს ვრცელი ქვეყანა სლავიანთა რასსას ეჭირა. წარმოიდგინეთ, მხოლოდ საბერძნეთი და სულ მცირეოდენი ნაწილი კონსტანტინეპოლის გვერდით დარდანელამდე სხვა ფრით იყო დახატული, დანარჩენი კი უშველებელი მიდამო შავი ზღვიდან მოყოლებული ვიდრე ადრიატიკის ზღვამდე ერთ წითელ ფერად იყო წარმოდგენილი.

რა არის აქ საყურადღებო?!

აი რა: სლავიანთა სხვა და სხვა ერები დღემდე ცალ-ცალკე და ერთი მეორისაგან განშორებულად ჰცხოვრობდნენ; დღემდე ერთმანეთს არ იცნობდნენ და არცა სურვილი ჰქონდათ ერთი-მეორის გაცნობისა და დაახლოვებისა. პირიქით ზოგიერთ სლავიანთა ერთა განწყობილება აღსავსე იყო მტრობითა და მძულვარებითა, ყველამ კარგად იცის დაუბოლოოებელი დავა რუსეთის და პოლონეთის შორის, ის შური და მტრობა, რომელიც ეხლაც ჰღვივის და ამწვავებს ყოველ მორიგებითი განწყობილებას. ბოლგარიამ და სერბიამ ძლივს თავი დაიხსნეს საუკუნო მონობისაგან და იმავე წამს ომი გამოუცხადეს ერთმანეთს. პოლონელი გალიციაში ჰსდევნის რუსინებს და უკრაინელებს... ერთი სიტყვით ყველგან ბრძოლაა, ქიშპობა და მტრობა.

მხოლოდ ბოლო დროს იჩინა თავი ახალმა მოძრაობამ—მისწრაფებამ სოლიდარობისა და ძმური ერთობისაკენ. შეგნებულად განათლებული ნაწილი სლავიანთა ერებისა თან და თან გონში შედიან და ჰგრძნობენ, რომ სლავიანთა რასსა წარმოადგენს ერთს უშველებელ ორგანიზმს; ამ ორგანიზმის საბედნიეროდ საჭიროა, რომ ყოველი მისი ნაწილი თავისუფალი და ბედნიერი იყოს და თავი სუფლად ადგეს განვითარების გზასა. ეხლა ეს დედაზრი, ეს იდეა, ტრიალებს ყველგან სლავიანთა ქვეყნებში. ერთობა, დამყარებული ძმობისა და ეროვნულ თავისუფლებაზე, აი ის ლოზუნგი, რომელიც წამოაყენა ნეოსლავიზმა.

ჩვენთვის საინტერესოა ეს იდეა, როგორც ლოზუნგი ამ ახალ მოძრაობისა. სხვა საკითხია, თუ როგორ ხორციელდება იგი. ადრეც მოგახსენეთ. რომ პოლონელები სულ არ მოვიდნენ ამ კონგრესზე, არ არიან აგრეთვე წარმომადგენლები პროგრესიულ პარტიებისა და ძალიან ცოტანი არიან.

სულ ეს იმას ამტკიცებს; რომ იმ ლოზუნგის განხორციელება ჯერ კიდევ ხშირად წამოჰკრავს ფეხს სხვა და სხვა ქვებსა და დაბრკოლებას, ჯერ კიდევ ბევრი განსაცდელი მოელის მას, მაინც თვითონ ნეოსლავიზმი, როგორც მოძრაობა, დაუყარებული რასსიულ ნიადაგზე (ჩამომავლობითი ერთობაზე) მეტად საინტერესოა. ეს მეტია, ვიდრე ეროვნული მოძრაობა, ეს უფრო ღრმად მიდის, ამყარებს რასსობრივ ერთობას და, მაშასადამე, აღრმავებს ეროვნულ თვითცნობიერებას,, მაგრამ იმავე დროს ხელს უშლის და ნიადაგს აცლის ეროვნულ გადაჭარბებას და შოვინისტური მიდრეკილებას. თუ ერთია ჩამომავლობა, ყველას ერთი ძირი ჰქონია და ყველა უფლებრივად თანაბარი უნდა იყოს: რუსი და პოლონელი, ჩეხი და ბოლგარელი...

წარმოიდგინეთ: ხორვატი ძმობას და ერთობას უცხადებს ველიკოროსს, ბოლგარელი ჩეხს... ე. ი. ისეთი ერები, რომლებიც ერთმანეთიდან დაშორებულნი არიან მანძილით, ისტორიით, ენით, რჯულით, ასეთი ერები ერთმანეთს ძმობას და ერთობას უცხადებენ.

გ. ვეზავა

ბერლინი
4 ივლისს.

ტალღა

მე ზღვის ტალღა ვარ, ტალღა მრისხანე...
ვერ შესძლებთ ჩემი სიღრმე-სიგანე
ერთის თვალთ-ხედვით, მჩატეთ, უზომოთ,
მოუფიქრებლად ასწონ-გაზომოთ.

* * *

შორს, მონათ-ღმერთო! შორს, განმერიდე...
არ ჩამოიხსნა ნიღაბი, რიდე —
თორემ ვით ეშმა, ეშმა გრძნეული,
მსწრაფლ შეიქმნები ჩემგან ძლეული.

ი. გრიშაშვილი.

ნატო გაბუნია-ცაგარლისა ახალგაზდობის დროს.

ფიქრები და შენიშვნები.

ეკლესია, სკოლა და თეატრი უნდა იყოს უპარტიო,

ამ ტაძრებში ყველა მსურველს და მწყურველს დაუბრკოლებლივ უნდა შეესვლებოდეს.

ამიტომ საჭიროა რომ ეგ სამი დაწესებულება ყველასითვის მისაწდომი იყოს და ყოველ შემთხვევაში ადვილად მისაწდომი.

ვიცი — უფლოდ შეუძლებელია ურთერთ შორის დამოკიდებულება, შეხლა, ხახუნი,..

მაგრამ ფულიც არის და ფულიც: თუმანიც ფულია, მანათიც, აბაზიც და შაურიც...

ეკლესიაში ფულს ღებულობენ: სანთელ-საკმელი, ქორწილი, ნათვლა, დამარხვა...

სკოლაში ხომ ყოველ ნაბიჯზე ფულია საჭირო: წიგნები, მასწავლებლები და სხვა...

თეატრში: ბილეთი, „მარკა-ვეშოლკა", პროგრამა, „ნა ჩაი" და სხვა.

რაკი არ იქნება სრულებით ფულის მოსპობა, დეე იყოს, მაგრამ რაც შეიძლება ცოტა, ყველასათვის ხელმისაწდომი,

Demos-ს — ხალხს, ღარიბ-ღატაკს, ყველას ეჭირვება „სულის ცხონება", „გონების განვითარება", „ესტეტიური დაკმაყოფილება".

ხუკესნო, მასწავლებელნო და მსახიობნო იფიქრეთ იმაზე, იზრუნეთ და იღონეთ რამე!

მოინდომეთ თუ დღეისთვის არა, ხვალისთვის ზეგისთვის—ახლო მომავლისათვის და საქმე გასწორდება ყველას საკეთილდღეოდ.

იოცნებეთ, იფიქრეთ! შეაჩვიეთ თქვენი აზრი ამის აუცილებლობას, უსათუობას...

შეუძლებელი არა არის რა, ოღონდ სურვილი და ნდომა იყოს.

ხომ გაგიგონიათ: რწმენა მთებს ამოძრავებსო.

მერე რა საჭიროა ჩვენთვის ეკლესია, სკოლა, თეატრი!

ერთი წაირყვნა, მეორე დამახინჯდა, მესამე დაკნინდა.

ვინ არის ნეტა ეგ მღვდელი სტეფანე ბაიდაშვილი, რომელზედაც კოტე ყავრიშვილი სწერს რუსულ გაზეთში?

მთელი სოფელი გადამტერებია. მრევლი გაურბის, არ ეკარება, ის „ძალათ მაცხონე“ იმუქრება!..

ჩვენ გვიხაროდა, თავი მოგვქონდა, რომ ჩვენ სამღვდელოებას მახინჯები არ გამოერევიანო.

დეკანოზი ვოსტორგოვისაგან დღეს მთელი განათლებული რუსეთი ზურგს იბრუნებს და ცხვირზე ხელს იჭერს რათა მამა ვოსტორგოვის მიერ ჩადენილ „საქმეთ საგმიროს“ სიმყრალემ არ ამოგვახრჩოლოსო.

ან იქნება სტეფანე ბაიდაშვილმა დიდუბის დიაკონი სლადკო-პევსკევისაგან ისწავლა ჩხუბი და ლანძღვა-გინება?

ვერაფერი მისაბაძი მაგალითია მამაო სტეფანე!

გამიგონია—ძუძუ-მწოვარა ბავშვი დედის ძუძუს ნეკზე იჩენს თავის კბილეაის ძალას-ვაჟკაცობასო.

მართალი არ არის თუ?

იმ კვირას ვიღაც მხეცებმა ხელით შეურაცხყვეს თავიანთი მასწავლებელნი და აღმზრდელნი,..

ბევრი სივაგლახე გვინახავს ამ უკანასკნელ ოთხ-ხუთს წელიწადში: „განმათავისუფლებელმა“ მოძრაობამ ბევრი ქვენა გრძნობა აამოძრავა ჩვენში.

ისეთი ჯოჯოხეთური ნიმუშები წამოატივტივა ჩვენის ცხოვრების „ზედა პირზე“ მათი მსგავსი არასად არ თქმულა და გაგონილა.

მაგრამ ესეთი გავერანება, ესეთი სიდუხჭირე, რომელიც მოხდა ამას წინედ ჩვენს ქართულს გიმნაზიაში ჯერ ტფილისი არ მოსწრებია.

ბრწყინვალე წოდების ნასხლეტი მკლავაძენი მემკვიდრეობით შავრაზმელნი იერიშით მიდიან ოჯახის უფროსზე.

სკოლა მოწაფეთათვის მეორე და მრავალ შემთხვევაში გაცილებით უკეთესი და პატივსაცემი ოჯახია.

მერე რად ჩადიან ამისთანა უმსგავსოებას? მხოლოდ იმისთვის რომ სახელი გაუტეხონ, შეარცხვინონ ხ თავი მოსჭრან თავიანთ alma-matere-ს.

ერთად-ერთს ქართულ განმანათლებელ დაწესებულებას, რომელიც თურმე „ვიგინდარებს“, ვიღაც თავხედებს ზრდის თავის კედლებში...

გადაგვარება განა ამაზე უფრო შორს წავა?

ჯერ იყო და წოდებრივი, კლასიური მძულვარება აბრმავებდა სულით და ხორცით დაკნინებულთ.

ეხლა კი პროვინციალური .ატრიოტიზმი გაუჯდათ ძვალრბილში და იმერ-ამერზე შავი ყორნებივით იწყეს ჩხავილი...

აგრეა ხოლმე ყოველ დრო-ჟამი მოჭამულის, დახავსებულის და ხორცმეტად ქცეულ წოდების ფსიხოლოგია.

მტრებს რომ ვერას აკლებენ, თავიანთზე იმარჯვებენ.

,,კარგი რამ გვჭირდეს-გვიკვირდეს, აკი რა საკვირველია!..

თეატრი? აქაც ბევრი რამ არის გასახერხი და გასარანდი. მაგრამ შემდეგისათვის იყოს.

ვინ-გან.

ნეტავ ბედი
რას მიქადის?!.

მოწშენდილი
ცა კამკამებს,
ბადრი მოკვრე
თრთის ნარნარებს.

—

მთის ნაკადი
მოტქრიალებს,
ტეტქად მოხტის
მოკისკასებს!

—

კიდის უკაკვილი
რწყავს ახარებს,
და სიამით
ანეტარებს!..

—

ტბილ ნანინას
კორდს უმღერის
ნაზ-ბეკლუტად
ცის უდიმის!..

—

ნიავი ჭქრის...
მთას ნაძვი თრთის...
ჩემი დღენი
შავ-ბნელ მიჭქრის!..

—

ბუჩქის ძირას
ია ჭეკვავის...
მეკი ეკვი
თავს დამხვავის.

—

სული ჭეივის
ბედსა სჩივის,
შვების სხივი
არსით მივის!

—

სადამოა
მოვარე შუქს ჭოვენს...
მაინც ბედკრულს
მე ვერ მადხენს!

—

ბადს ბეჯ ული
ხმას აკვნესებს—
სულიო ობოდს
ვერას მარგებს!

—

ტანჯვით მკვნესარს
თვალთ ტრემდი მდის—
ნეტა ბედი
რას მიქადის?!.

მაისი. ვ. ალუღიშვილი.

შინაური მიმოხილვა

ვინც ჩვენს საზოგადო საქმეებს დაუკვირდება, ყველგან ერთს მოვლენას შენიშნავს: ნაკლები საქმიანობა, ხოლო დიდი აურ-ზაური, შეტაკება და მებრძოლთა ურთი-ერთი გამწვავება. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურმდღებოა ქუთაისის არჩევნები. ბანკია, ქალაქის თვიმართველობაა, თუ მრეწველთა კრებაა, ყველგან ერთი და იგივეა. იმის მაგიერ რომ კრებებზე დინჯად არკვევდნენ მეტად სერიოზულ საკითხებს, იმის მაგიერ, რომ წინ იდგნენ შეგნებულნი და საქმის მცოდნენი, აქ თქვენ დაინახავთ ჩვენს მოხეტიალე და მოქეიფე რაინდებს, რომელთაც ყოველ წუთს ხმალზე ხელი აქვთ და ასე გონია საომრად ემზადებიანო. ჩვენი ცხოვრების ბნელი ძალები კიდეც სარგებლობენ ასეთი გარემოებით, გზას უკრავენ პატიოსან და საზოგადოებისათვის თავდადებულ პირთ, აშინებენ მათ და ხანჯლოსანთა და მოქეიფეთა დახმარებით ლელო გააქვთ. დიდი ხანი გავა, სანამ ჩვენი საზოგადოება შეიგნებდეს, რომ ასე საქმის წარმოება არ შეიძლება, დიდი ხანი გავა, სანამ ჩვენს ცხოვრებაში გამოილეოდენ მოხანჯლე კუდაბზიკები. მაგრამ მაინც დღესაც ვამჩნევთ, რომ საზოგადოების ერთი ნაწილი უკვე განთავისუფლდა ამ ხანჯლოსანთა დახმარებასა და მეგობრობისაგან. მრეწველთა კრებებს უფრო დინჯი ხასიათი მაეცა. ქალაქის თვითმართველობაშიც ახალი ძალა შედის. დღევანდელი ქუთაისის თვითმართველობის არჩევნები ბევრის მხრით საგულისხმიეროა. ამ არჩევნებმა წინ წამოაყენა ჩვენი საზოგადოების საუკეთესო ნაწილი, უფრო შეგნებული და საქმისთვის თავდადებულნი. სამწუხაროდ ქუთაისი ისეთ პირობებშია, რომ იქ დიდი რამეს გაკეთება არც შეიძლება. დღეს განათლებულ ქვეყნების სოფლებშია ქარხნები და ზავოდები, ხოლო რა ქალაქია ის, სადაც ერთი სამრეწველო ბუხარიც არ ბოლავს, ერთი სამრეწველო საყვირის ხმაც არ გაისმის? ამ მხრით ქუთაისს არც შემდეგში გაუღიმებს ბედი, რადგან კაპიტალის პატრონიც რომ გამოაჩნდეს და რამე სამრეწველო საქმის დაწყება მოინდომოს, მუშებს ვერ იშოვის ან თუ იშოვა, ერთ დღეს თუ იმუშავებენ, ხუთ დღეს გაფიცვა იქნება. ხოლო წვრილ ვაჭარ-ხელოსანთა, მოხელეთა და მოწაფეთა ქალაქი ქალაქი არ არის თანამედროვე აზრით. ამიტომაც ქუთაისში ბევრის გაკეთება არც არავის შეუძლია. მაგრამ რაც შესაძლებელია, ის თუ გაკეთდება, ესეც ღვთის წყალობა იქნება. ამისათვის კი საჭიროა ქალაქის თვითმართველობას უძღვებოდეს საქმის მცოდნე და შეგნებული ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა. როგორც ხმოსნებად გასულთა სია გვიჩვენებს, ეს ჩვენი იმედი უნდა გამართლდეს და ქუთაისმა ეხლა მაინც საქმიანური ცხოვრება დაიწყოს.

* * *

სწავლა უკვე გაჩაღდა სკოლებში. საზოგადოება ყოველთვის დიდი მოთხოვნილებით მიმართავს მასწავლებელს, ხოლო იმას კი არ იკითხავს, თუ რამდენად ხელს უწყობს ახალ თაობის აღსაზრდელად მიწვეულთ. ამ მხრივ ჩვენში განსაკუთრებით ამ ბოლო დროს მეტის მეტად უნუგეშო მდგომარეობაა. ორიოდე მოთხელო საყმაწვილო ჟურნალის გარდა არაფერი იბეჭდება, წელიწადი ისე გავა, რომ ერთი საყმაწვილო წიგნი არ დაისტამბება. ბავშვს კითხვის წყურვილი უღვიძდება, ხოლო მასალა კი არა გაქვთ, რომ მიაწოდოთ. ის უნებლიედ სხვა ენას ეტანება და რამდენიც დრო გადის, იმდენად სამშობლო ენას ივიწყებს, მის ლიტერატურას ნაკლებ ყურადღებას აქცევს. ეს ხომ ერთი უბედურება. მეორე უბედურება ჩვენი სკოლებისა ის არის, რომ არავითარი ჩვენი ცხოვრების შესაფერი ხელსაწყო ნივთი არ მოიპოვება. არც ერთი სურათი, რომელიც ჩვენ ცხოვრებას გვაცნობ-

დეს, არც ერთი ნივთი, რომელიც ჩვენს კულტურულ ცხოვრებაზე ლაპარაკობდეს არა გვაქვს. განა შეიძლება ამ პირობებში სწავლება? როგორ უნდა გააცნოთ მოზარდ თაობას ჩვენი სამშობლოს მრავალ ფეროვანი კულტურა და ხასიათი? შეიძლება კაცი იმერეთში დაბერდეს და ქართლ-კახეთის ცხოვრებაზე არავითარი წარმოდგენა არა ჰქონდეს. განა ბევრია, ვისაც ჩვენი მთის ქართველობა უნახავს? ხომ ისე ყველამ კარგად იცის, თუ რა თავისებური და მდიდარია მთის ცხოვრება.

წიგნებით ხომ ღარიბნი ვართ, მაგრამ წიგნი რაც უნდა კარგად იყოს დაწერილი, მაინც სურათის და ნივთის მაგიერობას ვერ გასწევს. გასაკვირვლია, ჩვენ განმანათლებელ საზოგადოებათ აქამდის რატომ არ მოაგონდათ ეს ნაკლი? დღეს მაინც საჭიროა რამე ზომა ვიღონოთ, ეხლავე საქმეს შევუდგეთ და თანდა თან დავამზადოთ შესაფერი მასალა.

* * *

ქართული თეატრი როგორც სხვა ჩვენი დაწესებულებანიც, დიდს გასაჭირშია, უმეტესად უსაღსრობის გამო. მაგრამ მაინც მას იმდენი მეგობარი ჰყავს, რომ იმედს არ ჰკარგავს და თანდათან წელში იმართება. დრამატიულ საზოგადოების ახალი გამგეობა განსაკუთრებული მხნეობით შეუდგა საქმეს და თუ სხვა დაბრკოლებათა გარდა კინკლაობამ თავი არ იჩინა, რაც ჩვეულებათ აქვთ ზოგიერთ სვენს თეატრის გარშემო მომუშავეთ, სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ საქმე ჩინებულად წავა და ჩვენს მოდუნებულს ინტელიგენციას გასამართლებელი საბუთი აღარ ექნება, იმიტომ არ დავდივარ თეატრში, რომ წარმოდგენები არ მაკმაყოფილებსო. არტისტებსაც განსაკუთრებული მუყაითობა ეტყობათ, ცდილობენ გონივრულად მოეპყრან თავის მოვალეობას, ღრმად შეისწავლონ დ გაითვალისწინონ დრამატიული ნაწარმოებნი. თუ ასეთივე მხნეობით განაგრძეს მუშაობა ორივე მხარემ, წელს ჩინებული სცენა გვექნება. იგივე გულმოდგინებას ვხედავთ ქუთაისშიაც. ასე რომ საზოგადოება ვალდებულია ყოველი ღონე იღონოს და მხარი დაუჭიროს თავის თეატრს.

* * *

ქვეყანაზე ბევრი რამ ახირებული ხდება. მაგრამ განა უფრო მეტი ახირებულობა შეიძლება, როცა, მაგალითად, წინედ სასულიერო სემინარიაში ქართულ ენას რუსულ ენაზე ასწავლიდენ. ეს დაწესებულება, რომელიც უნდა ამზადებდეს საღვთისმეტყველო პირებს ერთს უძველეს ეკლესიისათვის, ქართულ ენას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. აშკარაა; რომ ამ გზით მომზადებულნი პირნი თავის თანამდებობას არ შეეფერებიან.

მართლაც არსაც ისე მღვდელი თავის მოვალეობას არ დაშორებია, როგორც ჩვენში. ჩვენ არც ქალაქში და მით უფრო არც სოფელში მდიდარნი არა ვართ ნასწავლი ხალხით. აბა გადახედეთ რას წარმოადგენენ ჩვენი მღვდლები? განა მაგათ შეუძლიანთ სარწმუნოებას ემსახურონ? და განა ხალხისთვის იმაზე მეტი საზიანო იქნება, როცა უზნეო ადამიანი ზნეობას ქადაგებს, ურწმუნო სარწმუნოებას ემსახურება?

დღესაც ვერ მოუწვევიათ ქართულ ენის მასწავლებელი, ალბად ყრუს და მუნჯს ეძებენ და არა საქმის ჩინებულად მცოდნეს.

თეატრის საქმე

ტფილისსადა ქუთაისში.

წარეკანდელი სეზონი ტფილისსა და ქუთაისში, როგორც წინასწარ ნიშნებიდანა სჩანს, მეტად საინტერესო იქნება.

ტფილისის დრამატიულ საზოგადოების გამგეობა ქართულ თეატრის შენობა იჯარით აიღო სამის წლის ვადით და მაშასადამე ქართული წარმოდგენების საქმე ცოტად თუ ბევრად უზრუნველი იქნება.

ამრიგადვე მოიქცა ქუთაისის დრამატიული საზოგ. გამგეობაც: ქალაქის გამგეობას გამოართვა თეატრი იჯარით სამის წლის ვადით და სეზონის საქმე იქაც უზრუნველყოფილია.

ტფილისში ჰშვენიერი დასია შედგენილი, რომელსაც ხელმძღვანელობენ ჩვენი დამსახურებული და ნიჭიერი მსახიობი ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილი და ახალგაზდა მსახიობი ვ. შალიკაშვილი, რომელიც შარშან მოსკოვში ისმენდა ლექციებს სარეჟისორო კურსებზე.

ქუთაისშიაც შესდგა დასი, რომლის წევრები მომეტებული ახალგაზდები არიან, სამაგიეროდ დასის პრეზიერშად ითვლება ნინო ჩხეიძე. რეჟისორობს მიხეილ ქორიძე და შალვა დადიანი.

რეპერტუარი აქაც და იქაც ახლებია. აგერ ერთ თვეზე მეტია, რაც ორივე თეატრებში მსახიობნი უკვე შეუდგნენ მეცადინეობას და რამდენიმე პიესები უკვე მოუმზადებიათ.

სეზონი ტფილისში გაიხსნება შაბათს, 25 სექტემბერს, ქუთაისშიაც ამავე ხანებში.

ვუსურვებთ ორივე თეატრს სრულს გამარჯვებას და განზრახულ საგნის მიღწევას.

რედაქტ.-გამომცემელი: **პეტ. სურგულაძე.**

განყოფილება „პროგრესის“ სტამბაისა სასახლე ქუჩა, თავად-აზნაურობის სახლი